

# სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №14

2019 წლის 31 ივლისი

ქ. სიღნაღი

**სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების აღრიცხვა-ანგარიშგების წესისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ბლანკების მიღების/გასავლის ჟურნალების ფორმის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 240<sup>1</sup> მუხლის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7, მე-8 მუხლების, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-2 პუნქტის „ჯ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

## **მუხლი 1**

დამტკიცდეს სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების აღრიცხვა-ანგარიშგების წესი, დანართი №1-ის შესაბამისად.

## **მუხლი 2**

დამტკიცდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების მიღების/აღრიცხვის ჟურნალის ფორმა, დანართი №2-ის შესაბამისად.

## **მუხლი 3**

დამტკიცდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ბლანკების გასავლის ჟურნალის ფორმა, დანართი №3-ის შესაბამისად.

## **მუხლი 4**

დამტკიცდეს სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა, დანართი №4-ის შესაბამისად.

## **მუხლი 5**

ამ დადგენილების მე-4 მუხლით დამტკიცებული სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგება ორი გვერდისაგან. **პირველ გვერდზე გამოსახულია** წარწერა „სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია“ და მისამართი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ნომერი, თარიღი და ოქმის შედგენის ადგილი, ოქმის შემდგენი პირის თანამდებობა, სახელი და გვარი, ოქმის შედგენის სამართლებრივი საფუძველი, სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი და დრო, სამართალდამრღვევი სუბიექტის სრული დასახელება, დაბადების თარიღი, მოქალაქის საიდენტიფიკაციო მონაცემები, მისამართი, იურიდიული მისამართი, სამართალდარღვევის შინაარსი, კანონის შესაბამისი მუხლი და პუნქტი, სამართალდარღვევასთან დაკავშირებით სამართალდამრღვევი პირის თანამდებობა, სახელი და გვარი, სამართალდამრღვევი პირის ახსნა-განმარტება. სამართალდარღვევის ოქმის **მეორე გვერდზე** მოცემულია ოქმის ნომერი, განმარტება სამართალდამრღვევი პირის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, ოქმის შემდგენი პირის ხელმოწერა, სამართალდამრღვევი პირის ხელმოწერა, მოწმეების სახელი, გვარი, მისამართი, პირადობის მოწმობის № და ხელმოწერა, დაზარალებული პირის სახელი, გვარი, მისამართი, პირადობის მოწმობის № და ხელმოწერა, სამართალდამრღვევის ხელმოწერა ოქმის ასლის ჩაბარებასთან დაკავშირებით, ჩანაწერი ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის მიერ ოქმის ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ორივე გვერდზე ქვედა მარჯვენა კუთხეში დაიტანება დამკვეთის, ოქმის დამამზადებელი პოლიგრაფიული საწარმოს სახელწოდება, ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელწოდება ინიციალებით და რეგისტრაციის ნომერი.

## **მუხლი 6**

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეიცავს შემდეგ დამცავ ნიშნებს:

ა) რელიეფურ დამცავ ბადეს;

ბ) ნუმერაციას საღებავით, რომელიც ულტრაიისფერი სხივების ქვეშ ნათდება;



გ) ბორჯღალოს ნიშანს, რომელიც გახედვისას ჩნდება „გამჭვირვალედ.“

**მუხლი 7**

ძალადაკარგულად გამოცხადდეს სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 27 სექტემბრის №20 დადგენილება „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვის ჟურნალის ფორმისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“.

**მუხლი 8**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ილია ხატიაშვილი

დანართი №1

**სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების აღრიცხვა-ანგარიშგების წესი**

1. წინამდებარე წესი არეგულირებს სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების აღრიცხვა-ანგარიშგებას.
2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების ბლანკების დამზადება ხორციელდება პოლიგრაფიულ საწარმოებში „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.
3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების ბლანკების დამზადების ორგანიზებასა და მომარაგებას ახორციელებს სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია.
4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების ბლანკები განაწილებამდე ინახება სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ სამსახურში.
5. ოქმის ბლანკები შენახული უნდა იქნეს ცეცხლგამძლე სეიფში. ამასთან, ის ადგილი, სადაც ინახება ოქმის ბლანკები, უნდა იყოს ხელშეუხებელი გარეშე პირთათვის და სათანადოდ დაცული დაზიანებისაგან.
6. სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ სამსახურში, ოქმის ბლანკების შენახვაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირის მიერ, ოქმის ბლანკები გადაეცემა სიღნაღის მუნიციპალიტეტის იურიდიული სამსახურის ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილებას, რომელსაც კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებული აქვს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილება.
7. სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ბლანკების გადაცემა შესაბამისი განყოფილებისათვის, უნდა დაფიქსირდეს სამართალდარღვევის ოქმის ბლანკების გასავლის ჟურნალში, რომლის ფორმა მოყვანილია ამ დადგენილების მე-3 მუხლით დამტკიცებულ დანართ №3-ში.
8. სიღნაღის მუნიციპალიტეტის იურიდიული სამსახურის მიერ ოქმების ბლანკების მიღებაზე და შემდგომ მათ განაწილებაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირი თავის მხრივ ვალდებულია სამართალდარღვევის ოქმების გაცემა, დაბრუნება, გაუქმება აღრიცხოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვის ჟურნალში, რომლის ფორმა მოყვანილია ამ დადგენილების მე-2 მუხლით დამტკიცებულ დანართ №2-ში.
9. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ივსება ლურჯი ბურთულიანი კალმით. ოქმში ყველა ჩანაწერი კეთდება გარკვევით. დაუშვებელია გადახაზვა, გადაფხეკვა, გადაშლა და ა.შ. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის დაზიანების ან მასში არასწორი მონაცემების შეტანის შემთხვევაში, ივსება ახალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. ძველი გადაიხაზება ჯვარედინად, რომელსაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემვსები მოხსენებითი ბარათით, გაუქმების მიზეზის მითითებით, აბარებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს.

დანართი №2

**სამართალდარღვევის ოქმების მიღების/აღრიცხვის ჟურნალის ფორმა**

№	სერია №.... დან №.....მდე	რაოდენობა	მიღების თარიღი	ბლანკები ჩავაბარე (თანამდებობა, გვარი და სახელი)
1	2	3	4	5






დანართი №4

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია

ქ. სიღნაღი, დავით აღმაშენებლის მოედანი 2

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის

ოქმი №

----- 20\_\_ წ.

(თარიღი)

-----

(ოქმის შედგენის ადგილი)

მე, სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ----- სამსახურის  
ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილების -----  
-----  
-----

(ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი, გვარი)

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ----- მუხლისა და

----- საქართველოს კანონის  
შესაბამისად შევადგინე აღნიშნული ოქმი.

სამართალდამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ---  
მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის უფლებები და  
მოვალეობები.

სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო

სამართალდამრღვევი იურიდიული პირის სრული დასახელება, მოქალაქის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი,  
საიდენტიფიკაციო მონაცემები, მისამართი



სამართალდარღვევის შინაარსი:

რაც გათვალისწინებულია

მიეთითოს კანონის შესაბამისი მუხლი, პუნქტი

აღნიშნულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით სამართალდამრღვევი პირის

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

ახსნა-განმარტება:

მე,

სამართალდამრღვევი პირის სახელი, გვარი

დამკვეთი: სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია

(ქ. სიღნაღი, დავით აღმაშენებლის მოედანი 2)

დამამზადებელი:

სფს-ს რეგისტრაციის №

გავეცანი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ----- მუხლით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს:

„ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარმოადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის სამართალწარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება იმ პირის თანდასწრებით, რომელიც მიცემულია ადმინისტრაციულ პასუხისგებაში. ამ პირის დაუსწრებლად საქმე შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როცა არის ცნობა მისთვის საქმის განხილვის ადგილისა და დროის დროულად შეტყობინების შესახებ და მისგან არ არის შემოსული შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე“.





დამამზადებელი:

სფს-ს რეგისტრაციის №

